

წესები და პირობები

1. შესავალი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება **artanawines**-ის ონლაინ მაღაზიაში ("კომპანია", "ჩვენს", "ჩვენი", "ჩვენ")!

აღნიშნული მომსახურების წესები და პირობები ("პირობები", "მომსახურების პირობები") არეგულირებს თქვენს მიერ ჩვენი ვებგვერდის გამოყენებას, რომელიც განთავსებულია მისამართზე www.artanawines.com (ერთად ან ცალკე "სერვისი"), რომელიც ოპერირებს **artanawines**-ის მიერ.

ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკა, განსაზღვრავს ჩვენი სერვისის გამოყენებას და განმარტავს, თუ როგორ ვაგროვებთ, ვიცავთ და გავცემთ ინფორმაციას, რომელსაც ვიღებთ თქვენს მიერ ჩვენი ვებგვერდის გამოყენების შედეგად.

ჩვენსა და თქვენს შორის შეთანხმება (კონტრაქტი) მოიცავს აღნიშნულ წესებს და პირობებს და ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკას ("შეთანხმებები"). თქვენ აცნობიერებთ, რომ წაიკითხეთ და გესმით შეთანხმებები და ეთანხმებით მათ.

თუ არ ეთანხმებით შეთანხმებებს (ან აცნობიერებთ, რომ ვერ შეასრულებთ მათ), შეგიძლიათ არ ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებით, ან შეგვატყობინოთ ელ. ფოსტაზე shop@artanawines.com იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ არსებული სიტუაციიდან გამოსავლის მოძიება. ეს პირობები ვრცელდება ყველა ვიზიტორზე, მომხმარებელსა და სხვა სერვისებზე წვდომის მსურველზე.

2. კომუნიკაცია

ჩვენი სერვისის გამოყენებით, თქვენ თანხმობას აცხადებთ სიახლეების, მარკეტინგული ან სარეკლამო მასალების და სხვა ინფორმაციის მიღებაზე, რომელიც შეიძლება ჩვენგან იქნას გამოგზავნილი. ამასთან, თქვენ შეიძლება უარი თქვათ ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე ჩვენს ელ. ფოსტაზე shop@artanawines.com გამოწერის გაუქმების თაობაზე შეტყობინების გამოგზავნით. ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს სურვილებს და ასეთი შეტყობინების მიღებისთანავე შევწყვეტთ თქვენი პირადი მონაცემების გამოყენებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის.

3. კომპანიის მომსახურებით სარგებლობა, შეკვეთის განთავსება

კომპანიის მომსახურებით სარგებლობისათვის - სასურველი პროდუქტის ან/და მომსახურების შესაძენად, შეიძლება საჭირო გახდეს თქვენი შესყიდვისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის და არა მარტო საკრედიტო ან სადებეტო ბარათის ნომერი, თქვენი

ბარათის ვადის გასვლის თარიღი, თქვენი რეგისტრაციის მისამართი და მიწოდებისთვის საჭირო სხვა ინფორმაცია.

თქვენ წარმოადგენთ და გარანტიას იძლევით, რომ:

- თქვენ გაქვთ იურიდიული უფლება გამოიყენოთ ნებისმიერი ბარათი(ებ)ი ან გადახდის სხვა მეთოდი(ებ)ი ნებისმიერი შექენასთან დაკავშირებით; და
- თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის ნამდვილი, სწორი და სრულყოფილი.

გადახდისა და შესყიდვების განხორციელებისათვის, შესაძლოა საჭირო გახდეს ჩვენი მხრიდან მესამე მხარის სერვისის გამოყენება. თქვენი ინფორმაციის მოწოდებით, თქვენ გვაძლევთ უფლებას, რომ მივაწოდოთ ეს ინფორმაცია მესამე მხარეს, რომელზეც სრულად გავრცელდება ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკა.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ნებისმიერ დროს უარი ვთქვათ ან გავაუქმოთ თქვენი შეკვეთა მათ შორის, მაგრამ არა მარტო, რომელიმე შემდეგი მიზეზით: პროდუქტის ან/და მომსახურების ხელმისაწვდომობა, პროდუქტისა ან/და მომსახურების აღწერილობაში ან/და ფასში უზუტობ(ებ)ის არსებობა, შეცდომები თქვენს შეკვეთაში ან სხვა.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, გავაუქმოთ ან უარი ვთქვათ თქვენს შეკვეთაზე თაღლითობის ან უნებართვო/უკანონო ტრანზაქციაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

4. შეკვეთის გაუქმება

მომხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა, გააუქმოს განთავსებული შეკვეთა. შესაბამისად, გთხოვთ, შეკვეთის განთავსებამდე კომპანიასთან გადაამოწმოთ პროდუქტის მახასიათებლები და მიწოდების პირობები.

5. შემადგენლობა/კონტენტი

ნებისმიერი ვიზუალური ან/და ტექსტური მასალა, რომელი განთავსებულია ჩვენს ვებ-გვერდზე, წარმოადგენს *artanawines*-ის საკუთრებას ან მას აქვს ასეთი ინფორმაციის გამოყენების ნებართვა. თქვენ არ გაქვთ უფლება სრულად ან ნაწილობრივ გაავრცელოთ, შეცვალოთ, გადაუგზავნოთ, გადმოწეროთ, დააკოპიროთ ან გამოიყენოთ აღნიშნული კონტენტი პირადი კომერციული მიზნებისთვის კომპანიის წინასწარ წერილობითი ნებართვის მიღების გარეშე.

6. აკრძალული გამოყენება

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ სერვისი მხოლოდ კანონიერი მიზნებით და წინამდებარე პირობების შესაბამისად.

7. ანალიტიკა

ჩვენ შესაძლოა გამოვიყენოთ მესამე მხარის მომსახურება ჩვენი სერვისის გამოყენების მონიტორინგისა და ანალიზისთვის, იმ პირობით, რომ ასეთი მესამე მხარეები სრულად აკმაყოფილებენ წინამდებარე პოლიტიკის მოთხოვნებს.

8. ანგარიშები

როდესაც თქვენ ქმნით ანგარიშს ჩვენს ვებ-გვერდზე, თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტი, სრულყოფილი და აქტუალურია. ინფორმაციის არასწორმა, არასრულმა ან მოძველებულმა მოწოდებამ შესაძლოა გვაიძულოს, დაუყოვნებლივ გავაუქმოთ თქვენი ანგარიში.

თქვენ ხართ პასუხისმგებელი თქვენი ანგარიშის და პაროლის კონფიდენციალურობის შენარჩუნებაზე. თქვენ ეთანხმებით პასუხისმგებლობის აღებას თქვენს ანგარიშთან ან/და პაროლთან დაკავშირებულ ნებისმიერ და ყველა აქტივობასა თუ ქმედებაზე. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გვაცნობოთ თქვენი ინფორმაციას უსაფრთხოების დარღვევის თაობაზე.

ასეთი შეტყობინების მიღების საფუძველზე ჩვენ ვიტოვებთ უფლებას უარი ვთქვათ მომსახურებაზე, შევადგინოთ ანგარიშები, ამოვიღოთ ან შეცვალოთ შეკვეთის შინაარსი, ან შევაჩეროთ შეკვეთები ჩვენი შეხედულებისამებრ.

9. შეწყვეტა

ჩვენ შეგვიძლია შევწყვიტოთ ან შევაჩეროთ თქვენი ანგარიშსა და ჩვენს მომსახურებაზე წვდომა დაუყოვნებლივ, წინასწარი შეტყობინებისა და რაიმე სახის პასუხისმგებლობის გარეშე, ჩვენი შეხედულებისამებრ, ნებისმიერი მიზეზის გამო და შეზღუდვის გარეშე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ამ წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

თუ გსურთ ანგარიშის მოქმედების შეწყვეტა, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ მისი გამოყენება.

10. მარეგულირებელი კანონი

წესები და პირობები რეგულირდება და ინტერპრეტაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამისი მარეგულირებელი კანონის ფარგლებში.

ჩვენს მიერ ამ პირობების რაიმე უფლების გამოუყენებლობა არ განიხილება ამ უფლებაზე უარის თქმად.

თუ ამ პირობების რომელიმე დებულება სასამართლოს მიერ ბათილად ან კანონიერი ძალის არმქონედ ჩაითვლება, ამ პირობების დარჩენილი დებულებები რჩება მოქმედად.

11. ცვლილებები

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევიტანოთ ცვლილებები ჩვენს მომსახურებაში, ჩვენი შეხედულებისამებრ. პერიოდულად, ჩვენ შეიძლება შევზღუდოთ წვდომა მომსახურების ზოგიერთი ნაწილზე ან მთლიან სერვისზე, მომხმარებლებზე, მათ შორის რეგისტრირებულ მომხმარებლებზე.

12. დასტური/თანხმობა

ჩვენი სერვისით ან ჩვენ მიერ მოწოდებული სხვა სერვისის გამოყენებით, ადასტურებთ, რომ წაიკითხეთ და გაეცანით ამ წესებს და პირობებს და ეთანხმებით მათ.

13. დაგვიკავშირდით

გთხოვთ, თქვენი გამოხმაურება, კომენტარები, ტექნიკური დახმარების მოთხოვნა გამოაგზავნოთ ელ. ფოსტაზე: shop@artanawines.com

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

გაცნობებთ, რომ ვებგვერდი (www.artanawines.com) მომსახურების გაწევისას ფუნქციონირებს ქვემოთ მოცემული კონფიდენციალურობის პოლიტიკის თანახმად.

ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა გამოიყენება იმისათვის, რომ ვებგვერდის მომხმარებელი გაეცნოს ჩვენ პოლიტიკას პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, გამოყენებასთან და გამჟღავნებასთან დაკავშირებით.

თუ თქვენ გადაწყვეტთ, რომ ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებით, მაშინ თქვენ თანხმობას აცხადებთ, ჩვენ შევაგროვოთ და გამოვიყენოთ ის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრულია ამ პოლიტიკით. პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ და ვამუშავებთ, გამოიყენება მომსახურების მისაღებად და გასაუმჯობესებლად. ჩვენ არ გამოვიყენებთ, ან არ გავაზიარებთ მიღებულ ინფორმაციას ამ პოლიტიკით განსაზღვრული წესების საწინააღმდეგოდ.

ტერმინებს, რომელიც გამოყენებულია ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში, აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც წესებსა და პირობებში გამოყენებულ ტერმინებს.

ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება

მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ჩვენ შეიძლება გთხოვოთ გარკვეული სახის პერსონალური ინფორმაციის მოწოდება, რითაც შევძლებთ თქვენ იდენტიფიცირებას. ეს მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული სახელით, ტელეფონის ნომრით, დაბადების თარიღით,

სქესით, შესყიდვის ინფორმაციით, გამოსახულებებით, საფოსტო ინდექსით, ფინანსური ინფორმაციით (რაც გულისხმობს თქვენი საკრედიტო ან სადებეტო ბარათის დეტალებს) და ა.შ. ინფორმაცია, რომელსაც ვაგროვებთ, გამოიყენება თქვენთან საკონტაქტოდ ან თქვენი იდენტიფიცირებისათვის.

ჩვენ ვიზრუნებთ თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებასა და დაცვაზე, არ გამოვიყენებთ თქვენს მონაცემებს არამართლზომიერად. ამასთან, ჩვენ თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, ნებისმიერ დროს მოგაწვდით სრულ და ამომწურავ ინფორმაციას თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

ჩვენი მიზანი:

- თქვენთვის პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზება და თქვენთვის მოწოდება;
- პროდუქტებისა და მომსახურების განვითარება;
- ახალი პროდუქტებისა თუ მომსახურების შეთავაზებისთვის კლიენტთა ფოკუს ჯგუფების განსაზღვრა;
- ჩვენი კანონიერი მოვალეობების და სახელშეკრულებო ვალდებულებების ეფექტიანად შესრულება;
- ჩვენთვის რელევანტურ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ჩვენი სამართლებრივი საფუძველი:

- თქვენი თანხმობა;
- სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება;
- ჩვენი კანონიერი ინტერესები;
- ჩვენი კანონიერი მოვალეობა;
- რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

შესვლის მონაცემები

ჩვენ გატყობინებთ, რომ ვებგვერდზე შესვლისას, ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას, რომელსაც აგზავნის თქვენი ბრაუზერი და მას ეწოდება შესვლის მონაცემები. ეს შეიძლება მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორც არის თქვენი კომპიუტერის ინტერნეტ პროტოკოლის მისამართი, ბრაუზერის ვერსია, ჩვენი საიტის მონახულებული გვერდები, ამ გვერდებზე გატარებული დრო და სხვა სტატისტიკა.

მომსახურების მომწოდებელი

ჩვენ შეგვიძლია დავიქირავოთ მესამე პირი - კომპანიები ან ინდივიდები - შემდეგი მიზნებისათვის:

- მომსახურების გაუმჯობესება;
- მომსახურების გაწევა ჩვენი სახელით;
- მომსახურებასთან დაკავშირებული ქვე - მომსახურებები;
- მომსახურების ანალიზი.

გაცნობებთ, რომ ასეთ მხარეებს შესაძლებელია წვდომა ჰქონდეთ თქვენს პერსონალურ მონაცემებთან. ეს განპირობებულია იმ ვალდებულებებით, რაც აკისრიათ მათ ჩვენ მიმართ. თუმცა, ისინი იღებენ ვალდებულებას, არ გაავრცელონ ან გაამჟღავნონ ეს ინფორმაცია რაიმე სხვა მიზნით და შეზღუდვის გარეშე ექვემდებარებიან წინამდებარე პოლიტიკას.

უსაფრთხოება

ჩვენ ვაფასებთ თქვენს ნდობას, რომ გვაწვდით პერსონალურ ინფორმაციას, ამიტომ ჩვენ ვიყენებთ ყველანაირ საშუალებას მის დასაცავად. თუმცა გახსოვდეთ, რომ ინტერნეტით ინფორმაციის გაცვლისას არ არსებობს, ელექტრონული წარმოების მეთოდი, რომელიც 100% უსაფრთხო და სანდოა, ამიტომ ჩვენ ვერ გაძლევთ აბსოლუტური უსაფრთხოების გარანტიას.

რამდენ ხანს ვინახავთ პერსონალურ ინფორმაციას?

თქვენს პირად მონაცემებს ვინახავთ თქვენი მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში; აგრეთვე, მომსახურების დასრულების შემდეგ 10 წლამდე ვადით შემდეგი მიზეზების გამო:

- კითხვებსა და საჩივრებზე პასუხის გასაცემად
- იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ სამართლიანად მოგექეცით
- შესაბამისი რეგულაციების/წესების დაცვით აღრიცხვის წარმოების მიზნით

ჩვენ შეგვიძლია შევინახოთ თქვენი პირადი ინფორმაცია 10 წელზე მეტი ხნით, თუ მისი წაშლის შესაძლებლობა არ გვაქვს სამართლებრივი ან ნორმატიული მიზეზების გამო. თუ ფიქრობთ, რომ ჩვენთან შენახული თქვენი ნებისმიერი მონაცემი არასწორი ან არასრულია, გთხოვთ დაგვიკავშირდით თქვენი ეჭვების დასაფიქსირებლად. ჩვენ ყველა გონივრულ ზომას მივიღებთ, რომ შევამოწმოთ და გამოვასწოროთ ეს ხარვეზი. თქვენ უფლება გაქვთ, არ დაეთანხმოდით ჩვენ მიერ თქვენი პირადი მონაცემების გამოყენებას, ან მოითხოვოთ მათი წაშლა, ამოღება ან გამოყენების შეწყვეტა, თუ ჩვენ არ გვაქვს მათი შენახვის საკანონმდებლო საფუძველი. დაგვიკავშირდით, თუ არ ეთანხმებით ჩვენ მიერ თქვენი მონაცემების გამოყენებას, თუ გაქვთ შეკითხვები ან თუ გნებავთ თქვენი მონაცემების გაუქმება ან გამოყენების შეზღუდვა.

სხვა ვებ-გვერდის ბმულები

ჩვენი ვებგვერდი შეიძლება მოიცავდეს ბმულებს სხვა გვერდებზე გადასასვლელად. თუ თქვენ გამოიყენებთ მსგავს ბმულს, თქვენ გადამისამართდებით შესაბამის გვერდზე. დაიმახსოვრეთ, რომ მათი ფუნქციონირება არ გვხვება ჩვენ, ამიტომ გთხოვთ, გადახედოთ მათი

კონფიდენციალურობის პოლიტიკას. ჩვენ ვერ ვახორციელებთ კონტროლს და შესაბამისად პასუხს არ ვაგებთ სხვისი ვებგვერდის შემადგენლობასა, პოლისებსა და პრაქტიკაზე.

ცვლილებები კონფიდენციალურობის პოლიტიკაში

აღნიშნული კონფიდენციალურობის პოლიტიკა შესაძლოა შეიცვალოს, ამიტომ გირჩევთ პერიოდულად გადახედოთ მას. ჩვენ შეგატყობინებთ პოლიტიკაში ცვლილების განხორციელების თაობაზე. ცვლილება, ანდა დამატება ძალაში შედის www.artanawines.com -ზე გამოქვეყნებისთანავე.

თქვენ უფლება გაქვთ:

მოითხოვთ თქვენი პერსონალური მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული პრეტენზიები დააფიქსიროთ სახელმწიფო ინსპექტორის აპარატში;

ნებისმიერ დროს უარი განაცხადოთ ან შეზღუდოთ ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება, რასთან დაკავშირებითაც უნდა გვაცნობოთ შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე : shop@artanawines.com; ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას, ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში შევწყვიტოთ მონაცემების დამუშავება;

უარი განაცხადოთ ავტომატური საშუალებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში თქვენი მონაცემების გამოყენებაზე (მათ შორის პროფაილინგზე), რასთან დაკავშირებითაც წერილობით უნდა გვაცნობოთ შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე : shop@artanawines.com; ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას, ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში შევწყვიტოთ მონაცემების ამგვარი დამუშავება;

კონტაქტი

კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: shop@artanawines.com

წესებისა და პირობების თანხმობის ელექტრონულად მონიშნით/აღიარებით თქვენ ადასტურებთ, რომ ამავდროულად ეთანხმებით წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკას, თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს ზუსტ და უტყუარ მონაცემებს. ინფორმაციის მოწოდება მოხდა თქვენი საკუთარი სურვილით და ამისათვის თქვენ გაგაჩნიათ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და ნებართვა.